“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

„----05--“----------10-------“ 2017 წელი

ეგზ. № 1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" (პროგრამის კოდი 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N47/36

2017 წელი

სარჩევი

მნიშვნელოვანი შედეგები 3

რეკომენდაციები 6

შესავალი ნაწილი 7

აუდიტის საგანი და სახეობა 7

აუდიტის მიზანი 7

აუდიტის მასშტაბი 8

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება 8

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 8

აუდიტორის პასუხისმგებლობა 8

აუდიტის ობიექტის აღწერა 9

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00) 10

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები 11

თანამშრომლებზე გაცემული პრემიები 11

მუნიციპალიტეტზე დარიცხული ჯარიმა 12

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა 12

საკრებულოს წევრების ხარჯის ანაზღაურება 13

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 14

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა 16

ხეცერის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 18

ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა 19

მიმწოდებლების შერჩევა ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში 19

შპს „ჰიდრომშენის“ დისკვალიფიკაცია 20

ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი 21

კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაცია 22

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები 23

გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა 25

დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის საფარის რეაბილიტაცია 25

ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია 28

შამგონის და კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭაბურღილების და ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობა 28

ინფრასტრუქტურული პროექტების მოვლა-პატრონობა 31

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები 33

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები 34

შენობა-ნაგებობების აღრიცხვა 35

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით....36
სხვა საქონელი და მომსახურება 37
აუდიტის დასკვნა 37
აუდიტის ანგარიშის გასაჩვრების წესი 63
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები 63

მნიშვნელოვანი შედეგები

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 2015-2016 წლებში შეადგენს 7984.0 ათას ლარს, მათ შორის, პრემია - 1799.9 ათას ლარს. აღნიშნულ პერიოდში შტატგარეშე დაქირავებულ პირებზე გაცემული ანაზღაურება 556.4 ათასი ლარია, მათ შორის, პრემია - 132.2 ათასი ლარი. საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, პრემიის გაცემა ერთ თანამშრომელზე შესაძლებელია წელიწადში მაქსიმუმ ოთხჯერ. მიუხედავად ამისა, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2015 წელს 72 პირზე პრემია გაიცა ხუთჯერ. 2016 წელს 95 პირს პრემია მისცეს 5-ჯერ, ხოლო 5 პირს - ექვსჯერ. არც ერთ შემთხვევაში, კვარტალში გაცემული პრემია არ არის თანამდებობრივი სარგოს 100%-ზე მეტი.
- 2016 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით გააფორმა ხელშეკრულება შპს „გეოპლასტთან“, ღირებულებით - 263.9 ათასი ლარი. მიმწოდებელმა სამუშაოების მიმდინარეობისას მშენებლობა ნაცვლად ჭაბურღილის მოწყობისა, დაიწყო ქსელის რეაბილიტაციით. სამუშაოების დასრულებისას, ჭაბურღილში არ აღმოჩნდა საკმარისი წყლის დებეტი. შედეგად, მოწყობილი წყლის სისტემა, რაშიც გადახდილია 197.0 ათასი ლარი, წყლის არასაკმარისი რაოდენობის გამო ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. სამუშაოების გეგმა-გრაფიკით შესრულების შემთხვევაში, მშენებლობის საწყის ეტაპზევე აღმოჩნდებოდა, რომ ჭაბურღილი არასაკმარისი წყლის რესურსის გამო ვერ უზრუნველყოფდა კორცხელის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. შედეგად, მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს აუნაზღაურებდა მხოლოდ ჭაბურღილის გათხრის ღირებულებას და ნაწილობრივ შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოებს, რაც ჯამში დაახლოებით შეადგენს 52.5 ათას ლარს.
- 2015 წლის 6, 8 ოქტომბერს და 13 ნოემბერს თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გააფორმა 8 ხელშეკრულება ჭითაწყაროს ადმინისტრაციულ

ერთეულში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით - 563.7 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, გადახურვა დაზიანებულია 12 ბინაში, რომელთა რეაბილიტაციაზეც ჯამში დაიხარჯა 156.5 ათასი ლარი. ასევე დაზიანებულია ერთი ბინის ფასადი, რომლის მოწყობაზეც გადახდილმა თანხამ 3.4 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2017 წლის 14 ივნისს გამგეობამ მიმართა მიმწოდებლებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემსრულებლების მიერ დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები.

- 2016 წლის 8 აპრილს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოსთან“ ოირემეს გზის კაპიტალური შეკეთებისათვის, საერთო ღირებულებით - 400.0 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწყობილი ასფალტის საფარი სამ ადგილას გადაჭრილია გაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რომელიც შემდგომში არ შეკეთებულა. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2017 წლის 14 ივნისს მუნიციპალიტეტმა მიმართა შპს „სოკარ გაზ ჯორჯიას“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.
- 2016 წლის 20 აპრილს შპს - MJM-თან გაფორმდა ხელშეკრულება დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოებზე, საერთო ღირებულებით - 505.7 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწყობილი ბეტონის საფარი ზოგ ადგილებში დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. მოფრეზილი ასფალტის ნარჩენები, რომლის გატანაშიც გადახდილია 16.7 ათასი ლარი, სრულად არ არის გატანილი და მისი ნარჩენები იქვე, გზის გასწვრივაა გადაყრილი. ასევე, გზის ნაწილზე სათანადოდ არ არის მოწყობილი გვერდულები, რაშიც მიმწოდებელმა ანაზღაურების სახით მიიღო 6.9 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2017 წლის 27 აპრილს, მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს, არსებული დაზიანებების აღმოფხვრის, გვერდულების სათანადოდ მოწყობისა და მოფრეზილი ასფალტის საფარის გატანის მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მიმწოდებელმა გამოასწორა არსებული ხარვეზები.
- 2014 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „საგზაოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება გროგოლიშის ადმინისტაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობაზე, ღირებულებით - 56.1 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 54.0 ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის აღნიშნული ობიექტი დაზიანებული იყო და ვერ

უზრუნველყოფდა მოსახლეობის წყლით მომარაგებას. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია არსებული ხარვეზები.

- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 31.0 ათასი ლარი. სამუშაოების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ობიექტი დაზიანებულია. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია არსებული ხარვეზები.
- მუნიციპალიტეტმა 2015 წელს გააფორმა ხელშეკრულება ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციისათვის. სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7.6 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობა არ შეესაბამება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებისათვის დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს, რის გამოც აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის აღნიშნულ შენობაში ბაღი არ ფუნქციონირებს.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები შამგონის და კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით - 9.2 ათასი ლარი. სამუშაოების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწყობილი ჭაბურღილები არ ფუნქციონირებდა. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებია არსებული ხარვეზები. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2017 წლის 14 ივნისს მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა მიმწოდებლებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კიროვის ადმინიტრაციულ ერთეულში დაზიანება გამოსწორებულია და ჭაბურღილი ფუნქციონირებს ხარვეზების გარეშე, ხოლო შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებულია დაზიანების გამოსწორების სამუშაოები.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015-2016 წლებში 6 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები, რომელთა ღირებულება შეადგენს 52.9 ათას ლარს[1], ნაწილობრივ დაზიანებულია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს განხორციელებული პროექტებით.

[1]წყალმომარაგების სისტემის გამრიცხველიანება, სანიაღვრე არხის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

- 2016 წლის 9 აგვისტოს ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაციაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „თავადი 1-თან“ საერთო ღირებულებით 24.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელს მშენებლობა უნდა დაესრულებინა 2016 წლის 8 სექტემბერს. შემსრულებელმა განსაზღვრულ ვადაში ვერ მოახერხა სამშენებლო სამუშაოების დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელს მიწოდების ვადის ამოწურვიდან დღემდე სამუშაოები დაუსრულებელი აქვს, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს შესყიდვების სააგენტოსთვის ამ ორგანიზაციის ე.წ. „შავ სიაში“ რეგისტრირების მიზნით.

რეკომენდაციები

1. კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც უნდა დაკმაყოფილდეს პროექტის განხორციელებისა და საბოლოო შედეგის მისაღწევად და უზრუნველყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს, რათა მუნიციპალიტეტმა თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა.
2. შესყიდული სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში ხარვეზების გამოვლენისას, მუნიციპალიტეტმა გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, აგრეთვე სხვა სამართლებრივი ღონისძიებები, რათა უზრუნვეყოფილ იქნეს ობიექტის საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრა. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას.
3. გამგეობამ რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი, დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული დაზიანებების დროულ გამოვლენას, ასევე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და მათ გამოყენებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

შესავალი ნაწილი

აუდიტის საგანი და სახეობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" (პროგრამის კოდი 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე,

ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების" და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გაწეული გადასახდელები, ჯამში 31 429.8 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი

აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია შეცდომით.

აუდიტის ობიექტის აღწერა

თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი შეიქმნა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით[2], ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან.

თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 48 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 58 სოფელს.

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, 2015-2018 წლებში მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, კულტურისა და სპორტის განვითარებას.

აუდიტის ფარგლებში შემოწმდა:

- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00).
- ✓ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 00).

[2] საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 4 აპრილის დადგენილება №2205-IIს „მუნიციპალიტეტების გაყოფისა და თვითმმართველი თემების – მუნიციპალიტეტების შექმნის შესახებ“.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (01 00)[3]

პროგრამის ფარგლებში 2015 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გახარჯულია 4803.1 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 23,4% შეადგენს. 2016 წელს პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა მთლიანი გადასახდელების 22,9%, ანუ 5676.8 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანხა ძირითადად დახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ გამგეობის, სამსახურებისა და ადმინისტრაციული ერთეულების შენახვა.
- ✓ საკრებულოს აპარატის შენახვა.
- ✓ საარჩევნო კომისიის სამუშაო პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები.



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2015 წელს აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებში სულ დასაქმებული იყო 269 თანამშრომელი, რომელთაგან 27 შტატგარეშე მოსამსახურეა. წლის განმავლობაში შტატით და შტატგარეშედ დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების სახით გაცემულია 3904.6 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია - 916.9 ათასი ლარი. 2016 წელს პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 277 ერთეულამდე, მათ შორის, 25 შტატგარეშე თანამშრომელია, რომლებზეც ანაზღაურების სახით წლის განმავლობაში გაიცა 4635.8 ათასი ლარი, მათ შორის, პრემია - 883.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ გამგეობის, სამსახურების და ადმინისტრაციული ერთეულების შენახვის ხარჯი 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 22%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების ზრდით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის N41 დადგენილების საფუძველზე, გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულ პირებს გაეზარდათ შრომის

[3] წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობა, გარდა 01.00 პროგრამისა, დაფინანსებულია აგრეთვე თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების (02.00) პროგრამის ფარგლებში. 2015-2016 წლებში 02 00 პროგრამის გადასახდელებმა 883.4 ათასი ლარი შეადგინა.

ანაზღაურება. შედეგად 2016 წელს მოხელეებზე გაცემულმა ხელფასმა 4 319.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 15%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში „საქონლისა და მომსახურების“ მუხლიდან გაწეული სხვა ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

ცხრილი N1. „საქონლისა და მომსახურების“ მუხლის სხვა ხარჯები - 2015-2016 წწ. (ათასი ლარი)

	2015	2016
მივლინებები	20,5	19,9
ოფისის ხარჯები	247,9	240,7
წარმომადგენლობითი ხარჯები	8,6	6
ტრანსპორტის, ტექნიკის, იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	191,8	224
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	258,2	294,7

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები

თანამშრომლებზე გაცემული პრემიები

კრიტერიუმი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირებზე პრემიის გაცემა რეგულირდება საკრებულოს მიერ 2014 წლის 21 ნოემბრის N48 დადგენილებით. მიღებული წესის მიხედვით, პრემიის გაცემაზე ინიცირების უფლება აქვს გამგებელს, გამგეობაში დასაქმებული პირებისათვის, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოში დასაქმებული პირებისათვის, გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, მის სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებულ პირებზე და საკრებულოს აპარატის უფროსს, მის დაქვემდებარებაში მყოფი პირებისათვის. დასაქმებულ პირებზე პრემია გაიცემა დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს, ხოლო პრემია, შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ.

გარემოება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 2015-2016 წლებში შეადგენს 7984.0 ათას ლარს, მათ შორის, პრემია - 1799.9 ათას ლარს. აღნიშნულ პერიოდში შტატგარეშედ დაქირავებულ პირებზე გაცემული ანაზღაურება 556.4 ათასი ლარია, მათ შორის, პრემია - 132.2 ათასი ლარი. საკრებულოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, პრემიის გაცემა შესაძლებელია კვარტალში მხოლოდ ერთხელ, ხოლო მოწოდებული ინფორმაციით, 2015 წელს 72 პირზე პრემია გაიცა 5-ჯერ.

2016 წელს 95 პირს პრემია მისცეს 5-ჯერ, ხოლო 5 პირს - 6-ჯერ. არც ერთ შემთხვევაში კვარტალში გაცემული პრემია არ არის თანამდებობრივი სარგოს 100%-ზე მეტი.

ამრიგად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა პრემიის გაცემის დროს არ გაითალისწინა საკრებულოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც ერთ თანამშრომელზე წლის განმავლობაში პრემიის გაცემა დასაშვებია არაუმეტეს 4- ჯერ. მუნიციპალიტეტმა 2015 წელს - 72 პირზე, ხოლო 2016 წელს - 100 პირზე პრემია გასცა 5-ჯერ და მეტჯერ.

მუნიციპალიტეტზე დარიცხული ჯარიმა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტი დაქირავებულ პირებზე შრომის ანაზღაურების გაცემისას ვალდებულია დააკავოს საშემოსავლო გადასახადი და გადარიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. საშემოსავლო გადასახადის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის ორგანიზაციას ეკისრება საურავი.

ასევე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულება. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის დაჯარიმების საფუძველი გახდეს.

გარემოება: 2016 წელს შემოსავლების სამსახურმა 0.5 ათასი ლარით დააჯარიმა მუნიციპალიტეტი, საგადასახადო ორგანოში საშემოსავლო გადასახადის დაგვიანებით გადახდის გამო. 2015 წელს მუნიციპალიტეტი დაჯარიმდა აგრეთვე 0.3 ათასი ლარით, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივისათვის საარქივო მომსახურების დაგვიანებით ანაზღაურების გამო.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების მიხედვით, სამსახური ამზადებს წინადადებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე. ასევე, მის მნიშვნელოვან ფუნქციებსა და უფლებებს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განწერა, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება, საფინანსო ზედამხედველობა, ადგილობრივი გადასახადებისა და

მოსაკრებლების შემოღების/გაუქმების, მათი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ წინადადებების მომზადებაში მონაწილეობა, ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ ინფორმაციის შეკრება და გაანალიზება, შესაბამისი წინადადების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება და სხვ.

გამოვლენილი გარემოება: 2015-2016 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ შპს „დაუ+"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეძენილია საკონსულტაციო მომსახურება, ღირებულებით 9.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ იმ პირობებში, როდესაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საფინანსო სამსახურში დასაქმებულია 12 თანამშრომელი, რომელთა უფლება-მოვალეობაა საბიუჯეტო კანონმდებლობის ცოდნა და პრაქტიკაში განხორციელება, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და ხარჯის გაწევა.

საკრებულოს წევრების ხარჯის ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა[4]. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხიმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.[5]

---

[4] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41, პუნქტი 1.

[5] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის" მე-5 მუხლი.

გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა სულ შეადგენს 260.9 ათას ლარს, მათ შორის, 2015 წელს - 122.3 ათას ლარს, 2016 წელს - 138.6 ათას ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 5 სექტემბრის N34 დადგენილებით[6] დამტკიცებულია საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯის ანაზღაურების წესი. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თითოეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა - 375 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარის აპარატი საკრებულოს სხდომებზე დასწრებისა და ცალკეული დავალების შესრულების მიხედვით ადასტურებს საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურებას. ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე ხარჯები ანაზღაურებულია ისე, რომ მათ არ წარმოუდგენიათ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურისათვის, კეთილმოწყობისათვის თანხები გამოიყოფა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან. 2015 წელს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 9733.3 ათასი ლარი, რაც მუნიციპლიტეტის მთლიანი გადასახდელების 47,4% შეადგენს. 2016 წელს თანხა განისაზღვრა 11216.6 ათასი ლარით და შეადგინა მთლიანი გადასახდელების 45,2%. აღნიშნული პროგრამიდან თანხები ძირითადად გახარჯულია შემდეგი მიმართულებებით:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა - შენახვა, რაც მოიცავს გზებს და ხიდებს.
- ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.
- ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.
- ✓ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“.

[6] 2015 წლის 3 აპრილს დადგენილებაში შევიდა ცვლილება.

- ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სხვ.

აღნიშნულ ღონისძებებზე განაწილებული თანხები 2015-2016 წლებში, მოცემულია დიაგრამის სახით:

დიაგრამა N2: 03 00 პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტების მიხედვით, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამის მოსალოდნელი შედეგებია:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.
- სკოლებთან, ჯანდაცვის და ტურისტულ ობიექტებთან მოსახლეობის მარტივად დაკავშირების ხელშეწყობა.
- სოფლებში მოსახლეობის შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.
- სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
- ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მოსახლეობის დასვენების ადგილების გაუმჯობესება.
- წყალდიდობისა და სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვა და სხვ.

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგების შეფასების ინდიკატორებია:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების/ხიდების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა.

- გაუმჯობესებული და კეთილმოწყობილი დასვენებისა და გართობის ადგილები.
- განათებული სოფლების და ქუჩების რაოდენობის ზრდა.
- გამწვანებული და მოვლილი ტერიტორიების რაოდენობის ზრდა.
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.
- წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დაცვის მაჩვენებელი.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტი ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის N23 დადგენილებით განსაზღვრული წესით[7]. აღნიშნული ნორმატიული აქტების მოთხონების გათვალისწინებით, განსახორციელებელი პროექტების შერჩევა და დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I ეტაპი: გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში იკვლევს მოსახლეობის აზრს ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების გამოვლენისათვის. აზრის კვლევა შესაძლოა განხორციელდეს კრების მასალებზე დაყრდნობით ან სხვა საშუალებებით. მოსახლეობის მიერ დასახელებული პრობლემებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე დგება პროექტების ჩამონათვალი, რომლებიც მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს კონკრეტულ სოფელში.

II ეტაპი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური პროგრამების და ინფრასტრუქტურის სამსახური უზრუნველყოფს ოქმებში ასახული ინფორმაციის შეგროვებას და დამუშავებას. აღნიშნულ ეტაპზე განიხილება მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტები და შეირჩევა ისეთი პროექტები, რომლებიც არსებული ფინანსური რესურსებისა და მნიშვნელოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია განხორციელდეს დასაგეგმი პერიოდისათვის.

III ეტაპი: მომდევნო ეტაპზე შერჩეული პროექტების მოსახლეობასთან შეთანხმების მიზნით, ტარდება საერთო კრება, სადაც გამგებლის წარმომადგენელი სოფლის მოსახლეობას წარუდგენს შერჩეულ პროექტებს. თავის მხრივ, კრებაზე დამსწრეები ხელმოწერით ადასტურებენ პროექტის განხორციელებაზე თანხმობას.

---

[7] „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“.

IV ეტაპი: წინა ეტაპზე შერჩეული პროექტები განსახილველად წარედგინება საკრებულოს, რომელიც აფასებს წარდგენილ პროექტებს და მოწონების შემთხვევაში, გამოსცემს განკარგულებას პროექტის განსახორციელებლად შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით.

Vეტაპი: საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტები, რომელთა განხორციელება მუნიციპალიტეტს შეუძლია საკუთარი რესურსებით, გაითვალისიწინება შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტში და შესაბამისად, შესყიდვების გეგმაში. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკმარისი რესურსი პროექტის განსახორციელებლად, მიმართავს სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილ საკონსულტაციო საბჭოს განსახორციელებელი პროექტების განხილვისათვის.

VI ეტაპი: დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შესახებ წინადადებას ამზადებს მუნიციპალიტეტი და წერილობით მიმართავს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს რეგიონალური განვითარების სამთავრობო კომისია განიხილავს პროექტებს და წინადადების შესახებ დადებითი დასკვნის მიღების შემთხვევაში, პროექტის დასაფინანსებლად სახსრების გამოყოფაზე გასცემს რეკომენდაციას.

VII ეტაპი: შერჩეული პროექტი აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და შესაბამისად, მიმდინარე წლის შესყიდვების გეგმაში.

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვის პროცესი



დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები

ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, შერჩეული პროექტი მაქსიმალურად პასუხობდეს მოსახლეობის საჭიროებებს. შესაბამისად, სათანადოდ განხორციელებული მოსახლეობის აზრის გამოკვლევა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მათი პირველი რიგის საჭიროებების გამოვლენას. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი გადაწყვეტს მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტეტის შეცვლას, მნიშვნელოვანია მათთან გამართოს დამატებითი კონსულტაციები ახალი პროექტის განხორციელებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი განახორციელებს მოსახლეობის მიერ დასახელებულ პროექტს, გამგეობა ვალდებულია მშენებლობის პროცესი დაგეგმოს ისე, რომ შესყიდულმა სამუშაოებმა სრულად უზრუნველყოს დასახელებული პრობლემების გადაწყვეტა.

ხეცერის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანია მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოები დაგეგმოს და განახორციელოს ისე, რომ სრულად იქნეს მიღწეული დასახული მიზნები.

გარემოება: 2015 წლის 19 ივნისს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება N119 შპს „ზუგდიდექსპერტიზასთან“, მუნიციპალიუტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბიბლიოთეკისა და ბაღების რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვისათვის. ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა პროექტებთან ერთად საპროექტო ორგანიზაციამ მოამზადა ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. 2015 წლის 30 ოქტომბერს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება N402 ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაციისათვის, ღირებულებით 8.1 ათასი ლარი[8]. სამუშაოები დასრულდა 2015 წლის 8 დეკემბერს. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 7.6 ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვს შენობა არ გამოიყენება და მასში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ შენობა არ შეესაბამება სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებისათვის დადგენილ სახელმწიფო სტანდარტებს.

[8] 2015 წლის ხელშეკრულება N402.

საპროექტო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „ზუგდიდექსპერტიზას“ უნდა მოემზადებინა საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, შესაბამისად, სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო შენობაში საბავშვო ბაღის განთავსება. მიუხედავად აღნიშნულისა, მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩატარებულმა სამუშაოებმა ვერ უზრუნველყო შენობის რეაბილიტაცია საბავშვო ბაღისთვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია წარმოდგენილი პროექტი და არ უმსჯელია რამდენად შეესაბამებოდა ის საბავშვო ბაღისთვის დადგენილ აუცილებელ კრიტერიუმებს. ამასთანავე, გამგეობას არც შემდგომში მიუმართავს საპროექტო ორგანიზაციისთვის გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით.

ამრიგად, მუნიციპალიტეტმა 7.6 ათასი ლარი დახარჯა შენობის რემონტისთვის, თუმცა შენობა არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ და მასში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს შემდგომი ზომებისთვის, რათა გაერკვია შენობის მოქმედ სტანდარტებთან შეუსაბამობის მიზეზები და არ დაუსახავს გზები მათ გამოსასწორებლად.

რეკომენდაცია: კონკრეტული სამუშაოს დაგეგმვისას მუნიციპალტეტმა უნდა შეისწავლოს ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც უნდა დაკმაყოფილდეს პროექტის განხორციელებისა და საბოლოო შედეგის მისაღწევად და უზრუნველყოს დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს, რომ მუნიციპალუტეტმა თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა.

ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვა

მიმწოდებლების შერჩევა ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში

მუნიციპალიტეტი ახორციელებს შერჩეული ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაცია დადგენილი მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით არჩევს შესყიდვის საშუალებას და იწყებს სათანადო პროცედურების ჩატარებას შესყიდვის ორგანიზებისათვის. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ტენდერის ან გამარტივებული შესყიდვის გზით. სახელმწიფო შესყიდის ტენდერით განხორციელების შემთხვევაში, სატენდერო კომისია შერჩევა-შეფასების ეტაპზე აფასებს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას და წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციას. აღნიშნულ ეტაპზე პირველ რიგში ფასდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადება. თუ პრეტენდენტს სრულად არ აქვს წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ,

სატენდერო კომისია სწავლობს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული ფირმის შესყიდვებს და ამის საფუძველზე მსჯელობს ფირმის გამოცდილების შესახებ. ელექტრონულ სისტემაში სათანადო გამოცდილების არ-არსებობის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების გარეშე.

მუნიციპალიტეტში მიმწოდებლების შერჩევის პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ შესაძლებელია მოხდეს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია კანონმდებლბის შეუსაბამოდ. კერძოდ, არსებული პრაქტიკით, თუ მიმწოდებელმა თავიდანვე არ წარმოადგინა ინფორმაცია კერძო სექტორში მისი სამუშაო გამოცდილების შესახებ, მას არ ეძლევა აღნიშნული ინფორმაციის დაზუსტების საშუალება. აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია მოხდეს დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა.

შპს „ჰიდრომშენის“ დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ამასთანავე, დაზუსტებას არ ექვემდებარება ტექნიკური დოკუმენტაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტენდერით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, არ არის წარდგენილი ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებლის ან/და მოდელის შესახებ, ასევე არ არის ან განუფასებლადაა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვა.

გარემოება: 2016 წლის 27 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი[9] ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით, სავარაუდო ღირებულებით - 576.2 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა, რომელთაგან ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „ჰიდრომშენმა“ - 524.0 ათასი ლარი. აღნიშნული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მუნიციპალიტეტმა მოახდინა ისე, რომ არ მისცა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების საშუალება. საბოლოოდ, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „თავადი 1“, რომელსაც ერთი ლარით უფრო მაღალი ფასი ჰქონდა წარმოდგენილი.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია მოახდინა შემდეგი დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოდგენის გამო:

1. სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი.

[9] SPA160015519

2. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია.
3. ინფორმაცია ანალოგიური სირთულის და ხასიათის სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ.
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია.
5. პრეტენდენტის შესახებ ინფორმაცია (დასახელება, საბანკო რეკვიზიტები, მისამართი და სხვ.).

იქიდან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის შეცვლა/სრულად წარმოდგენა არ გამოიწვევდა ფასის ცვლილებას, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საშუალება უნდა მიეცა შპს „ჰიდრომშენისთვის“, დაეზუსტებინა ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც გამგეობას არ მოუხდენია. შესაბამისად, პრეტენდენტი ტენდერიდან დისკვალიფიცირებულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კომისიამ გადაამოწმა პრეტენდენტის გაფორმებული ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი პერიოდის განმავლობაში მას არ უფიქსირდებოდა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა კომისიამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია და მიიღო გადაწყვეტილება ტენდერიდან შპს „ჰიდრომშენის“ დისკვალიფიკაციის შესახებ.

ხელშეკრულებების შესრულება და კონტროლი

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებლები იწყებენ პროექტების განხორციელებას. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ნებისმიერ დროს, რისთვისაც შექმნილია ინსპექტირების ჯგუფი. ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს მიწოდების ვადების, სამუშაოს მოცულობებისა და ხარისხის კონტროლს. გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს შესრულებული სამუშაოების საექსპერტო კვლევას, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში, ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების წარმოდგენას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდანრეობის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმები ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სათანადო ხარისხისა და მოცულობის სამუშაოების მიღებას. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში გამოვლინდა, რომ არსებული კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს:

- ხელშეკრულებით დადგენილი გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევათა გამოვლენას და შესაბამისად, მათზე რეაგირებას.
- სათანადო ხარისხის სამუშაოების მიღებას.
- საგარანტიო ვადაში დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას.
- სხვა სუბიეტების მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების გამოვლენას და შემდგომ რეაგირებას.

კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: 2016 წლის 8 აგვისტოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა შპს „გეოპლასტთან“ ხელშეკრულება გააფორმა კორცხელის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის რეაბილიტაციის მიზნით. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო სამუშაოები ეწარმოებინა შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, შემსრულებელს სამუშაოების პირველ ეტაპზე უნდა განეხორციელებინა ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, ხოლო შემდეგ შიდა დაქსელვა. გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე პერიოდულად უნდა განახორციელოს სამუშაოების მოცულობების და ვადების კონტროლი.

გარემოება: შპს „გეოპლასტთან“ გაფორმებული N220 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 263.9 ათას ლარს. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს წინასწარ განუსაზღვრა გეგმა-გრაფიკი, რომლითაც მიმწოდებელს უნდა ეხელმძღვანელა სამუშაოების შესრულების პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, აგრეთვე პასუხისმგებელი პირის განმარტებით დგინდება, რომ შემსრულებელმა არ გაითვალისწინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სამუშაოების წარმოება არ განახორციელა დამტკიცებული გეგმის მიხედვით. შპს „გეოპლასტმა“ სამუშაოები ჭაბურღილის ნაცვლად, დაიწყო შიდა ქსელის მოწყობით. მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელი ხელშეკრულების შესრულების პროცესში სისტემატურად არღვევდა გეგმა-გრაფიკს, მუნიციპალიტეტს მისგან არ მოუთხოვია, დაეცვა ხელშეკრულების პირობები და სამუშაოები შეესრულებინა შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

საბოლოოდ, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს შუალედური ფორმა N2-ების საფუძველზე სრულად აუნაზღაურა შესრულებული შიდა დაქსელვის სამუშაოების ღირებულება, ჯამში 197.0 ათასი ლარი. რაც შეეხება ჭაბურღილის მოწყობას, იგი შესრულდა მშენებლობის ბოლო ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნდა სათანადო გეოლოგიური დასკვნა, პროექტით გათვალისწინებულ ჭაბურღილში არ აღმოჩნდა საკმარისი წყლის დებეტი. შედეგად, მოწყობილი წყლის სისტემა წყლის

არასაკმარისი რაოდენობის გამო, ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ისარგებლებდა დამტკიცებული გეგმა-გრაფიკით, იგი სამუშაოების წარმოებას დაიწყებდა ჭაბურღილის მოწყობით. მშენებლობის საწყის ეტაპზევე გაირკვევოდა, რომ დაგეგმილ ადგილზე მოწყობილი ჭაბურღილი არასაკმარისი წყლის რესურსის გამო ვერ უზრუნველყოფდა კორცხელის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. შედეგად, მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს აუნაზღაურებდა მხოლოდ ჭაბურღილის და ამ პერიოდისათვის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული შიდა ქსელის ნაწილის მოწყობის სამუშაოების ღირებულებას, რაც ჯამში დაახლოებით შეადგენს 52.5 ათას ლარს.

შედეგად, მუნიციპალიტეტმა სოფელ კორცხელში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებში გადაიხადა 197.0 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, აუდიტის მიმდინარეობისას, არსებული სისტემით სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. აღნიშნული გულისხმობს სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრას იმგვარად, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღოს გონივრული რწმუნება სამუშაოების შესაბამისი მოცულობითა და ხარისხით შესრულების შესახებ. საბოლოო ანგარიშსწორებაც უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოცულობების და ხარისხის შესაბამისობის დადასტურების შემდეგ. ამასთანავე, ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, შემსყიდველის მიერ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია გამგეობის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გამოასწოროს დაზიანება საკუთარი ხარჯებით.

გარემოება: 2015 წლის 6, 8 ოქტომბერს და 13 ნოემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გააფორმა 8 ხელშეკრულება ჭითაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში, ონარიის დასახლებაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე[10], ღირებულებით - 563.7 ათასი ლარი. ხელშეკრულებები ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოების სამწლიან საგარანტიო ვადას. აღნიშნული ვადის განმავლობაში რაიმე წუნის, დეფექტის, ნაკლოვანების წარმოშობის

[10] 2015 წლის ხელშეკრულებები: NN327, 328, 333, 334, 335, 338, 424, 425.

ან/და აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ობიექტზე არსებული ნაკლოვანება/დეფექტი.

შესრულებული სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ გადახურვის სამუშაოების ნაწილი შესრულებული იყო უხარისხოდ. კერძოდ, 12 ბინაში, რომელთა სახურავის რეაბილიტაციაში გადახდილია 156.5 ათასი ლარი, გადახურვა დაზიანებული იყო და მოსული ნალექი აღწევდა საცხოვრებელ ბინებში. ასევე, ერთ მრავალსართულიან სახლში ფასადის მოწყობის სამუშაოებში გადახდილია 3.4 ათასი ლარი, დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ფასადი დაზიანებული იყო.

სურათი N1. დაზიანებული სამუშაოები ჭითაწყაროს ადმინისტრაციულ ერთეულში

შესაბამისად, სამუშაოები, რაშიც გადახდილია 159.9 ათასი ლარი, შესრულებულია უხარისხოდ. მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტირებულ ობიექტებს გააჩნია მოქმედი საგარანტიო ვადა, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული დაზიანებები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას, რა დროს დაზიანდა შესრულებული სამუშაოები.

ამასთანავე, გაფორმებული ხელშეკრულებებით მიმწოდებელს ევალებოდა შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა. ყველა ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებულია სამუშაოთა მოცულობები, ხოლო შესრულებული სამუშაოების ხარისხი შესწავლილი არ არის. აგრეთვე, ხელშეკრულებების მიხედვით მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა გამოსაყენებელი მასალების ძირითად ნაწილზე მოეთხოვა ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატები. აღსანიშნავია, რომ შემსყიდველს არც ერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული კონტროლის მექანიზმი.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, მუნიციპალიტეტმა დაიწყო ღონისძიებების გატარება ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, 2017 წლის 14 ივნისს გამგეობამ მიმართა მიმწოდებლებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემსრულებლების მიერ დაწყებულია შესაბამისი სამუშაოები მუნიციპალიტეტის მოთხოვნათა შესასრულებლად.

გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. 2014 წელს გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობისთვის გაფორმებული N181 ხელშეკრულების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე წუნის, დეფექტის, ნაკლოვანების წარმოშობის ან/და აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს და გამოასწოროს წარმოშობილი ან/და აღმოჩენილი ნაკლოვანება/დეფექტი, მიმწოდებლის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

გარემოება: 2014 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და შპს „საგზაოს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 56.1 ათასი ლარი. სამუშაოები ითვალისწინებდა გრიგოლიშის ადმინიტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობას. მშენებლობა დასრულდა 2015 წლის 18 მარტს და შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 54.0 ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის აღნიშნული ობიექტი დაზიანებული იყო და ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის წყლით მომარაგებას. ხელშერულების პირობების მიხედვით, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა მოქმდებდა 2017 წლის 18 მარტამდე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მისთვის უცნობია როდის დაზიანდა წყლის სისტემა, თუმცა 2017 წლის იანვარისთვის ობიექტი დაზიანებული იყო. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში შემსყიდველს არ მიუმართავს, ხოლო მიმწოდებელს არ გამოუსწორებებია არსებული დაზიანებები.

დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის საფარის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება გაფორმებული ხელშეკრულების, საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოების ან მისი

ნაწილის დასრულების შემდგომ განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა, რის საფუძველზეც უნდა განახორციელოს შემსრულებელთან ანგარიშსწორება. ასევე ხელშეკრულებების პირობების თანახმად, მიმწოდებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ შესრულებული სამუშაოების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნა წარადგინონ მუნიციპალიტეტში.

გარემოება: 2016 წლის 20 აპრილს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხელშეკრულება გააფორმა შპს - MJM-თან, საერთო ღირებულებით - 505.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში მიმწოდებელს უნდა მოეხდინა დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 წელს, რომლის განმავლობაშიც რაიმე ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლოვანება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიმწოდებელმა წარმოადგინა შპს „არდას“ მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც საგამოცდო ლაბორატორიის მიერ გზის საფარიდან აღებული ბეტონის კუბიკების გამოცდების შედეგები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწიებულ პირობებს და საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

2017 წლის 25 აპრილს აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში დაგებული ბეტონის საფარი. შედეგად აღმოჩნდა, რომ 497.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და მოწყობილი ბეტონის საფარი ზოგ ადგილებში საჭიროებს შეკეთებას. მიუხედავად იმისა, რომ ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა, დათვალიერების მომენტისთვის მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა გაკეთებული მიმართა მიმწოდებლისთვის გზის საფარზე არსებული ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიზეზითაა გამოწვეული გზის საფარის დაზიანება, აღნიშნული განაპირობა არასთანადო ხარისხის ბეტონის გამოყენებამ, თუ საგზაო სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულმა სხვა ხარვეზებმა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფისთვის უცნობია გზის საფარზე არსებული ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზები, ასევე რამდენად ზუსტად შეფასდა ექსპერტიზის დასკვნით დაგებული ბეტონის ხარისხი.

დათვალიერების შედეგად აგრეთვე გამოვლინდა შეუსრულებელი სამუშაოები, კერძოდ:

- ✓ მოფრეზილი ასფალტის ნარჩენები, რომლის გატანაშიც გადახდილია 16.7 ათასი ლარი, სრულად არ არის გატანილი და მისი ნარჩენები იქვე გზის გასწვრივ არის გადაყრილი;
- ✓ გზის ნაწილზე სათანადოდ არ არის მოწყობილი გვერდულები, რაშიც მიმწოდებელმა ანაზღაურების სახით მიიღო 6.9 ათასი ლარი.

ამრიგად, დარჩელის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებში გადახდილია 497.3 ათასი ლარი, რომლის ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ და საჭიროებს შეკეთებას. ასევე გამგეობამ მიმწოდებელს 23.6 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები სრულად აუნაზღაურა მაშინ, როდესაც ადგილზე დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ შემსრულებელს სრულად არ ჰქონდა გატანილი დემონსტრირებული მასალა და სათანადოდ არ იყო მოწყობილი გზის გვერდულები.

სურათი N2. დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის საფარის რეაბილიტაცია

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა შეისწავლეს აღნიშნული გარემოება, რის შედეგადაც 2017 წლის 27 აპრილს

მუნიციპალიტეტმა მიმართა მიმწოდებელს, არსებული დაზიანებების აღმოფხვრის, გვერდულების სათანადოდ მოწყობისა და მოფრეზილი ასფალტის საფარის გატანის მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2017 წლის ივნისიდან მიმწოდებელმა დაიწყო მუშაობა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად რომელიც აუდიტის მიმდინარეობის პროცესში გამოსწორებულია.

ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს მისი დაჯარიმება, შეუწყვიტოს ხელშეკრულება და მიმართოს შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის ე.წ. „შავ სიაში“ დარეგისტრირების მიზნით.

გარემოება: 2016 წლის 9 აგვისტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „თავადი 1“-თან, საერთო ღირებულებით - 24.7 ათასი ლარი. ხელშეკრულების ფარგლებში შემსრულებელს უნდა განეხორციელებინა ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელს მშენებლობა უნდა დაესრულებინა 2016 წლის 8 სექტემბერს. შემსრულებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების პირობების შესრულება და განსაზღვრულ ვადაში ვერ მოახერხა სამშენებლო სამუშაოების დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელს მიწოდების ვადის ამოწურვიდან დღემდე სამუშაოები დაუსრულებელი აქვს, გამგეობას არ მიუმართავს შესყიდვების სააგენტოსთვის შპს „თავადი 1“-ის „შავ სიაში“ რეგისტრირების მიზნით. საკითხით აუდიტის ჯგუფის მიერ დაინტერესების შემდგომ მუნიციპალიტეტმა მხოლოდ დააჯარიმა მიმწოდებელი 1.2 ათასი ლარით, რაც შემსრულებელმა გადაიხადა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში.

შამგონის და კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭაბურღილების და ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობა

კრიტერიუმი: 2015 წელს შამგონის, კიროვის და ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაფორმებული N357, N315 და N434 ხელშეკრულებების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში რაიმე წუნის, დეფექტის, ნაკლოვანების წარმოშობის ან/და აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, შეასრულოს და გამოასწოროს წარმოშობილი ან/და აღმოჩენილი ნაკლოვანება/დეფექტი, მიმწოდებლის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

გარემოება 1: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულებები შამგონის და კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით 10.1 ათასი ლარი[11]. შესრულებულებული სამუშაოების ღირებულებამ 9.2 ათასი ლარი შეადგინა. ორივე შემთხვევაში ხელშეკრულებები ითვალისწინებს 2-წლიან საგარანტიო ვადას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

ცხრილი N2. შამგონისა და კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭაბურღილების მოწყობის ხელშეკრულებები

დასახელება	საბოლოო მიღება-ჩაბარების თარიღი	გარანტიის ვადა
შამგონის ადმინისტრაციული ერთეული	28.12.2015	28.12.2017
კიროვის ადმინისტრაციული ერთეული	28.12.2015	28.12.2017

პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ძრავის გადაწვის გამო, ჭაბურღილი არ ფუნქციონირებს შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებულია ტუმბოსთან მისაერთებელი მილი. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პერიოდისათვის საგარანტიო ვადა გასული არ არის, მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლისათვის დაზიანებების გამოსწორების მოთხოვნით. ამასთანავე, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას, როდის დაზიანდა შესრულებული სამუშაოები.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, 2017 წლის 14 ივნისს მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა მიმწოდებლებს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, კიროვის ადმინიტრაციულ ერთეულში დაზიანება გამოსწორებულია და ჭაბურღილი ფუნქციონირებს ხარვეზების გარეშე, ხოლო შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში დაწყებულია დაზიანების გამოსწორების სამუშაოები.

გარემოება 2: 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 31.0 ათასი

[11] 2015 წლის ხელშეკრულებები: N357, N315.

ლარი[12]. ხელშეკრულება სხვა სამუშაოებთან ერთად ითვალისწინებდა საძირკვლისა და ზეძირკვლის მოწყობას, დგარების ჩაბეტონებას ორივე მხარეს არმირებით. სამუშაოებზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2015 წლის 4 დეკემბერს. ხელშეკრულების მიხედვით, საგარანტიო ვადა განისაზღვრა 2017 წლის 4 დეკემბრამდე. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წლის სექტემბრისთვის კედლების შეერთების ადგილი გაიხსნა, რამაც გამოიწვია სტადიონის ღობის დეფორმაცია. 2016 წლის 29 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა მიმწოდებელს გამოვლენილი დაზიანების გამოსწორების მოთხოვნით, რასაც მიმწოდებლის მხრიდან რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია. მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბოლოოდ, ობიექტი, რომლის მოწყობაში გადახდილია 31 ათასი ლარი და რომელსაც მოქმედი საგარანტიო ვადა გააჩნია, დაზიანებულია, ხოლო მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა ღონისძიება გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

სურათი N3. მინი სპორტული მოედნი ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში

რეკომენდაცია: შესყიდული სამშენებლო ობიექტების ექსპლოატაციაში ხარვეზების გამოვლენისას, მუნიციპალიტეტმა გაატაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, აგრეთვე სხვა სამართლებრივი ღონისძიებები, რათა უზრუნვეყოფილ იქნეს ობიექტის საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრა. აღნიშნული

[12] 2015 წლის N434 ხელშეკრულება.

ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზების გარეშე მიწოდებას.

ინფრასტრუქტურული პროექტების მოვლა-პატრონობა

ობიექტების მშენებლობის დასრულების შემდეგ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადა, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ახდენს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ობიექტების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ჩატარება სრულად ევალება მუნიციპალიტეტს, რაც გულისხმობს ობიექტებზე ხარვეზების გამოვლენას და დროულ გამოსწორებას. გამგეობის დებულების მიხედვით, ადმინიტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს ევალება გამგეობაში წარადგინოს ინფორმაცია შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ. გარდა ამისა, ობიექტების დაზიანების შესახებ ინფორმაცია შესაძლოა მიღებულ იქნეს მოსახლეების წერილობითი შეტყობინებებით.

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიზანია მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, შესრულებული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს მისით სარგებლობა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ქონების სათანადო მოვლა-პატრონობა და არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართული ფუნქციონირებისათვის გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.[13] მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სხვა პირის მიერ დაზიანების შემთხვევაში, მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გამოვლენილი გარემოებები:

- 2015 წელს შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის გამრიცხველიანების სამუშაოების შესყიდვა, საერთო ღირებულებით - 17.6 ათასი ლარი.[14] პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 2016 წლის იანვრიდან დამონტაჟებული 142 მრიცხველიდან ყინვების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა და არ ფუნქციონირებს 70.
- 2015 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 6.6 ათასი

[13] ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის დებულება.
[14] 2015 წლის ხელშეკრულებები: N115, N 126.

ლარი[15]. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოწყობილი ხიდ-ბოგირი ვერ ატარებს ჭარბ ნალექს, რის გამოც დაგეგმილია მისი რეკონსტრუქცია.

- 2016 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საანთიოს უბანში, წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 3.7 ათასი ლარი[16]. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გადაიწვა 2013 წელს მოწყობილი ტუმბო, შედეგად აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის მოსახლეობას წყალი არ მიეწოდებოდა.
- 2015 წელს გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 3.9 ათასი ლარი[17]. ხელშეკრულების ფარგლებში სამზარეულოს კედლებზე გაიკრა პლასტიკატი, მოეწყო მეტალოპლასტმასის ფანჯრები, წყალმომარაგების და კანალიზაციის პლასტმასის მილები, ჩატარდა სხვა სამუშაოები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისათვის შენობა დაზიანებულია და კედლებზე გაჩენილია ბზარები.
- 2015 წელს ორი ხელშეკრულების ფარგლებში[18] გრიგოლიშის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაშიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გადახდილია 21.1 ათასი ლარი. აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში რეაბილიტირებული წყლის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დაზიანებულია დამხარჯი მილები, ასევე ტუმბო ვერ აწვდის წყალს სადაწნეო ავზს. ამასთანავე, მისივე განმარტებით, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას როდის დაზიანდა შესრულებული სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს არ შეუსწავლია საკითხი იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია შესყიდულ სამშენებლო პროექტებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, არასწორმა დაგეგმვამ, სამუშაოების არასათანადო შესრულებამ, თუ ობიექტების არასწორმა ექსპლოატაციამ. შესაბამისად, არც ღონისძიებები გაუტარებია პასუხისმგებელი პირების მიმართ. საბოლოოდ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015-2016 წლებში 6 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული 52.9 ათასი ლარის სამუშაოები[19] ხასიათდება ხარვეზებით და მოსახლეობა ვერ სარგებლობს შესყიდული პროექტებით.

---

[15] 2015 წლის ხელშეკრულება N511.

[16] 2016 წლის ხელშეკრულება N284.

[17] 2015 წლის ხელშეკრულება N298.

[18] 2015 წელს გაფორმებული ხელშეკრულება N480 და 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულება N202.

[19] წყალმომარაგების სისტემის გამრიცხველიანება, სანიაღვრე არხის მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის და საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

2016 წლის 8 აპრილს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ოირემეს გზის კაპიტალური შეკეთების მიზნით, ხელშეკრულება გააფორმა შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველოსთან“, საერთო ღირებულებით - 400.0 ათასი ლარი. სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2016 წლის 7 ივლისს და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 393.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 16 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შპს „სოკარ გაზ ჯორჯიას“ მისცა ნებართვა, ოირემეს ადმინისტრაციულ ერთეულში განეხორციელებინა გაზმომარაგების სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწყობილი ასფალტის საფარი სამ ადგილზე გადაჭრილია გაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, რომელიც შემდგომში არ შეკეთებულა. აღსანიშნავია, რომ ობიექტის დათვალიერების თარიღისთვის მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს გაზის კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

შედეგად, სოფელ ოირემეში შესრულებული გზის მოასფალტების სამუშაოები, ნაწილობრივ დაზიანებულია და შპს „სოკარ გაზ ჯორჯიას“ არ შეუკეთებია დაზიანებული ასფალტი. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდგომ, 2017 წლის 14 ივნისს მუნინიპალიტეტმა მიმართა შპს „სოკარ გაზ ჯორჯიას“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

რეკომენდაცია: გამგეობამ რეგულარულად განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი, დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებული დაზიანებების დროულ გამოვლენას, ასევე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და მათ გამოყენებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

2016 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა თვითმმართველი თემი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს.
2. ანგარიშს - ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.
3. ანგარიშს - არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.
4. ანგარიშს - ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.
5. ანგარიშს - წმინდა ღირებულების შესახებ.

6. ანგარიშს - არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.
7. ანგარიშს - მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ.
8. ანგარიშს - არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ.
9. ანგარიშს - არასოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.
10. ინფორმაციას - არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.
11. ინფორმაციას - ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ.
12. ინფორმაციას - ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანებების შესახებ.
13. ინფორმაციას - დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.
14. ინფორმაციას - კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მათი საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდა მომდევნო წელს. 2016 წლის 31 დეკემბრისათვის 475.6 ათასი ლარის[20] ღირებულების სამუშაოები დაუსრულებელია. ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლი წარმოდგენილია 223.3 ათასი ლარით, ნაცვლად - 475.6 ათასი ლარისა. ასევე, დაუმთავრებელ ძირითად აქტივებზე დარიცხულია ცვეთა 2.7 ათასი ლარი, რაც არასწორია[21]. გარდა ამისა, 2016 წლის ბოლოს დაუმთავრებელი სამუშაოები მიკუთვნებულია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლებს.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N 1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 252.3 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილი თანხითაა წარმოდგენილი.
- დაუმთავრებელ ძირითად აქტივს არ ერიცხება ცვეთა. დარიცხული ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2; N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების” მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

[20] 2016 წლის ხელშეკრულებები: NN98,161,220,240,269,272,281

[21] „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N439

- დარიცხული ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შენობა-ნაგებობების აღრიცხვა

გარემოება 1: მუნიციპალიტეტმა 2015 წელს შეისყიდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა დასრულების ვადა იყო 2016 წელი. მიმწოდებლის მიერ 2015 წელს შესრულებულია 399.6 ათასი ლარის[22] სამუშაოები, რომლებიც ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლისა, აყვანილია 2015 წლის არაფინანსურ აქტივად. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მიმწოდებლების მიერ 2016 წელს შესრულებულია 601.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 451.0 ათასი ლარით[23]. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოების მთლიანი ღირებულება - 1000.6 ათასი ლარი, აღიარებული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლში და დაერიცხოს ცვეთა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა N2-1; ფორმა N5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებულია 549.6 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა N1) „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 399.6 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2, N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების” მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2: მუნიციპალიტეტმა 2015 წელს შეისყიდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები[24]. მიმწოდებლებმა სრულად შეასრულეს სამუშაოები 2015 წელს, ხოლო მუნიციპალიტეტმა თანხის ნაწილი - 9.9 ათასი ლარი, გადარიცხა 2016 წელს. აღნიშნული წარმოადგენს ვალდებულებას და ნაცვლად ამისა, წარმოდგენილია „შენობა-ნაგებობების“ შესაბამის მუხლში და ერიცხება ცვეთა.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის დასაწყისში შემცირებულია 9.9 ათასი ლარით. ასევე, არასრულადაა წარმოდგენილი ინფორმაციები ანგარიშებზე

[22] 2015 წლის ხელშეკრულებები: N N341, 367, 410, 450, 473, 526.

[23] 2015 წლის N367 ხელშეკრულების მიხედვით 2016 წელს შესრულებულია 473,4 ათასი ლარის სამუშაოები, ხოლო გატარებების მიხედვით - 270.3 ათასი ლარის სამუშაოები.

[24] 2015 წლის ხელშეკრულებები: NN198, 314, 426.

რიცხული კრედიტორული დავალიანებების შესახებ (ფორმა N8) და კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში (ფორმა N10).

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა №1; ბალანსის დანართი ფორმა N2-1; ფორმა N5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები გაზრდილია 9.9 ათასი ლარით.
- აქტივებზე მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხულია ცვეთა. ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2, N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების” მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 3: მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეისყიდა ჯიხაშკარში ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები[25]. მიმწოდებელმა წარმოადგინა შესრულებული სამუშაოს ფორმა N2, რომლის მიხედვითაც შესრულებულია 18.4 ათასი ლარის სამუშაოები. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა 13.4 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი ნაწილი აღიარა ვალდებულებად. აღნიშნული სამუშაო ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია 13.4 ათასი ლარით, ნაცვლად სრული18.4 ათასი ლარისა.

გავლენა

- ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა N1; ბალანსის დანართი ფორმა N2-1; ფორმა N5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლი შემცირებულია 5.0 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა, რაც არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2, N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების” მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- გარემოებები გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებითა და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება. 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს ერიცხება მიუღებელი ჯარიმების თანხა, სულ 3.7 ათასი ლარი. მიუღებელი ჯარიმის თანხები მუნიციპალიტეტის მიერ არ არის აღრიცხული ბუღალტრულად და შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

[25] ხელშეკრულება N248.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 3.7 ათასი ლარით.

სხვა საქონელი და მომსახურება

გარემოება 1: 2014 წელს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი[26]. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 2016 წელს ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ხარჯის ანაზღაურების სახით (ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის გარეშე) სულ მიღებული აქვთ 138.6 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. რადგან ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ვერ დგინდება, რომელი მუხლით უნდა აღირიცხოს გაწეული დანახარჯი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა N2, N3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 138.6 ათასი ლარით.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა იმ შესაძლო გავლენისა, რომელსაც მოახდენდა პირობითი დასკვნის გაცემის საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების“ თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება.
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“.
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

[26] საკრებულოს დადგენილება N34, 2014 წლის 5 სექტემბერი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფორმა №1

ორგანიზაციის

ბალანსი

ორგანიზაციის დასახელება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

ჩაბარების ვადა

ჩააბარა

(ხელმოწერა)

პერიოდულობა: 2016 წლიური

ზომის ერთეული: ლარი

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

საქართველო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
ფინანსურ-ეკონომიკური სამსახური
ფინანსურ-ეკონომიკურ საკითხთა
220416967

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	წაშთი წლის დასაწყისისთვის	წაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
	I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		2,306,018.0	1,263,094.0
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240		
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	2100300.0	1,217,500.0
